MES 5 23 0000582280

23/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.05.2023
სხდომის დაწყების დრო:14:29
სხდომის დასრულების დრო: 16:31
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი**
3. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **ირინეებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
11. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თემური თექთუმანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ნანა მიქავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	თამარ ჩარკვიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	გიორგი ფარეშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	1; 2
2.	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	1; 2
3.	ირაკლი გაბისონია		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	1; 2
4.	მირანდა გურგენიძე		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	1; 2
5.	ზურაბ კვეტენაძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	1; 2
6.	ნონა ლომიძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	1; 2
7.	ავთანდილ კიკნაძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი.	1; 2
8.	ლილი ხარჩილავა		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის სპეციალისტი	1; 2
9.	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.	3
10.	ხათუნა ამაღლობელი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;	3

11.	კახი კოპალიანი		ბიზნესისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	3
12.	ირმა დიხამინჯია		ბიზნესისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;	3
13.	ვასილ კიკუტაძე	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	აღმოსავლეთ ევროპის უნვერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	4
14.	დ ა ვ ი თ ბოსტოღანაშვილი		აღმოსავლეთ ევროპის უნვერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	4
15.	ბ ე ლ ა თინიკაშვილი		არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	4
16.	მაია გურგენიძე	შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	რექტორი	5
17.	ლ ა შ ა მარკოზაშვილი		ვიცე - რექტორი	5
18.	ანა გვრიტიშვილი		კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით	5
19.	ანი დემეტრაშვილი		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	5
20.	თამარ კეკენაძე		კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	5
21.	ბორის ლეჟავა	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	6
22.	დ ი ა ნ ა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	6
23.	ნ ი ნ ო ჟიჟილაშვილი		კავკასიის მედიის სკოლის დეკანი	6

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
4. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა)
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
6. შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.
7. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
დიახ
თვითაცილებებიდან გამომდინარე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განსახილველად საბჭოს კვორუმი ვერ შედგა. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხი გადაიდო შემდეგ საბჭოზე განსახილველად.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
4 შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა)
5. შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1-ლი საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

მე-2 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 18 იანვარი №38064
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 18 იანვარი №38065
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განახადა მარინა მაისურაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ირაკლი მანველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით რუსულენოვან საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაციის შვიდი წლის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოცემულ პროგრამასთან მიმართებით განისაზღვრა 10 რეკომენდაცია შესასრულებლად. წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება რომ დაწესებულებამ საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები შეასრულა.
რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას,აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოცემულ პროგრამასთან მიმართებით განისაზღვრა 18 რეკომენდაცია შესასრულებლად. საკითხის შესწავლის დროს ასევე მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები დაზუსტების მიზნით. ყველა დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებამ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 16-ივე რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დავით მახვილაძე მისალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისთვის. თქვა, რომ რეკომენდაციების რაოდენობა საკმაოდ ბევრი იყო განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამაზე, თუმცა იყო კონკრეტული რეკომენდაციები, ზუსტად იცოდნენ რა იყო გასაკეთებელი. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში თითოეული რეკომენდაცია შეასრულეს. იმის გამო, რომ მცირე დრო იყო დარჩენილი, ითხოვეს და 1 თვე კიდევ გააგრძელეს საანგარიშო პერიოდი, რომ ბოლომდე სრულყოფილად წარმოედგინათ შესრულებული რეკომენდაციები. შედეგი კი აისახა ექსპერტის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:32 სთ
დასრულების დრო: 14:37 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -11
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -11
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.
3 საკითხი. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 15 თებერვალი №152081
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 - სოციოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 61
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ ჩარკვიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2022 წლის 15 თებერვალს, აკრედიტაციის საბჭოს მიერ განისაზღვრა 8 რეკომენდაცია და 5 რჩევა. დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდი დაიცვა 2023 წლის 8 თებერვალს წამოადგინა ანგარიში, სადაც ექსპერტის შეფასებით 8-ვე რეკომენდაცია გაზიარებულია. მიუხედავად იმისა, რომ რჩევას იმპერატიული ხასიათი არ აქვს, რეკომენდაციების შესრულებამ ორი რჩევის ავტომატურად გათვალისწინებაც გამოიწვია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
რომეო გალდავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ დაწესებულება მაქსიმალურად შეეცადა ყველა რეკომენდაცია და მათ შორის რჩევებიც გაეთვალისწინებინა. ბოლოს კი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:41 სთ
დასრულების დრო: 14:42 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -12
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

მე-4 საკითხი. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი (ჩარჩოსთან შესაბამისობა)

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2017 წლის 3 ივლისი №36
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0371 - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, შატილის ქ. 4; ი. ენუქიძის ქ. 6.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ გვიანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით წარმოდგენილი იყო არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა. შეფასებას დაექვემდებარა პირველი და მეორე სტანდარტი სრულად. მეოთხე სტანდარტთან კი შეფასდა ადამიანური რესურსი, აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და მატერიალური რესურსი.
I სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. II სტანდარტის შემთხვევაში მხოლოდ 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია დანარჩენი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. IV სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. გაცემულია ერთი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. რეკომენდაციას შემდეგი სახე აქვს: რეკომენდებულია პროგრამის დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტების სამგანზომილებაში აზროვნების უნარის შეფასების კომპონენტი (გასაუბრება, პორტფოლიო და ა. შ.) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები შემდგომში შეფასების დროს მოითხოვეს და მიიღეს ყველა დამატებითი მოთხოვნილი ინფორმაცია, მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ვასილ კიკუტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ არქიტექტურის პროგრამა უკვე დიდი ხანია ხორცილდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, შესაბამისად პროგრამა აქამდე წარმატებულია ეს აისახება და ასახულია მის დასაქმების მაჩვენებლებზე. რაც შეეხება გაცემულ რეკომენდაციას აღნიშნა, რომ პროგრამას არ აქვს არანაირი შემოქმედებითი ტური წინაპირობად დასმული ვინაიდან და რადგანაც მსგავსი ტიპის მოთხოვნა, რომელიმე რეგულაციის დონეზე მათთვის არ არის ცნობილი და ამასთანავე აღნიშნული კონფიგურაციით უკვე წლებია საქართველოს რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მსგავსი ტიპი პროგრამები. გარდა ამისა არის ერთი ნიუანსი, თავის დროზე ეს შეგნებულად არ გაითვალისწინეს შემოქმედებითი ტურის ჩატარება იმდენად რამდენადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, არც ხაზვა და არც ხატვის კომპონენტები სავალდებულო წესით არ ისწავლება. შესაბამისად, აბიტურიენტს ვერ დაავალებდნენ მოეთხოვათ ის, რასაც არ ასწავლიან სკოლაში. რაც იმას ნიშნავს, რომ მას უნდა მოეძიებინა სხვა გზები დამატებით რომ ეს უნარები განევითარებინა. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისეთნაირად რომ, როგორც იტყვიან ‘’ხაზის გავლებით’’ იწყება ყველა ნიუანსის შესწავლა. შესაბამისად, სრული კურსის დასრულების შემდეგ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება სრულად, რასაც ადასტურებს როგორც ხარისხის შიდა კვლევები ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები. შესაბამისად, რეკომენდაცია შინაარსობრივად საინტერესოა, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ წარმოდგენილი არგუმენტაციის შესაბამისად. თუმცა შემდგომ დააკვირდებიან მიმდინარე პროცესებს და შესაბამისად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ არის დარგები, სადაც სასკოლო განათლება არ ითვალისწინებს წინარე განათლების მიღებას, მაგრამ ანალოგი შეიძლება იყოს თეატრალური, სამხატვრო აკადემია და ა.შ. ელემენტარული უნარების გარეშე ალბათ ვერ მოხვდებიან არ ეთანხმებიან დაწესებულებას იმ ნაწილში, რომ ამ წინარე უნარების შესაძენად აუცილებელი იქნება რეპეტიტორთან სიარული ასეთი მიდგომით შესაძლოა იმსჯელონ სხვა დარგებზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ნინო ღაღანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ გაეცნო პროგრამას და დასკვნას ვინაიდან ეს ერთი რეკომენდაციაა გამოთქმული არგუმენტირებულ პასუხსაც გაეცნო, სადაც დაწესებულება მართებულად მოუთითებს ერთ გარემოებაზე რომ ორი ჯგუფია უნივერსიტეტების ერთი ჯგუფი, სადაც არის შემოქმედებითი ტურები და მეორე სადაც არ არის ანალოგიურ პროგრამებზე. ამ შემთხევაში გადამწყვეტია პროგრამის სტრუქტურა როგორ არის აგებული. დასვა კითხვა ხო არ გაუჩნდა ექსპერტებს შეგრძნება ან შთაბეჭდილება რომ პროგრამა, რომელსაც არ აქვს წინაპირობა არ მისცემს საშუალებას უკვე ჩარიცხულ აბიტურიენტს გავიდეს სწავლის შედეგზე. როგორი არის სტრუქტურა მარტივიდან რთულისკენ თუ პირიქით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

გიორგი წანაწყენიშვილი მიესლმა დამსწრე საზოგადებას, თქვა რომ სტრუქტურულად მისაღებია, მაგრამ შემოქმედებითი ან რაიმე სახის უნარ-ჩვევების შემოწმება მიზანშეწონილად მიიჩნიეს, აბიტურიენტსაც ეცოდინება რომ აქ უნარებს უმოწმებენ, არ თხოვენ სკოლაში ესწავლა ან არ ესწავლათ, ბავშვობიდან ხატავენ ისინი, ვისაც შემოქმედებითი უნარები აქვთ, ვინც მღერის და აბარებს კონსერვატორიაში, თუ ნიჭი არ აქვს ვერ ჩააბარებს, თუნდაც თეატრალურში და სხვა სახელოვნებო მიმართულებით. შესაბამისად არქიტექტურაზე უნივერსიტეტმა სულ მცირე შემოქმედებითი უნარი უნდა შეამოწმოს. განმეორდა და თქვა, რომ პროგრამის სტრუქტურასთან არავითარი მნიშვნელოვანი ხარვეზი არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ვასილ კიკუტაძემ თქვა, რომ პროგრამა სწავლის შედეგებზე ცალსახად გადის, ამიტომ დააფიქსირეს პასუხში, რომ გაითვალისწინებენ მაშინ როდესაც ამის საშუალებას მისცემს პროგრამის სწავლის შედეგები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00 სთ
დასრულების დრო: 15:03 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -11
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს". საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება

"არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით, რომელიც არის ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი (დანართი №1).

მე - 5 საკითხი. შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო პოლიტიკა და მმართველობა Public Policy and Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი Master of Public Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ. 92.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა, მადლობა გადაუხადა დაწესებულებას კონსტრუქციული სამუშაოს უზრუნველყოფისთვის. აქცენტი გააკეთა სამართლის კომპონენტის გაძლიერების მნიშვნელობაზე პროგრამაში, რაც ასევე დააფიქსირეს დასკვნაში ხაზი გაუსვა, რომ პროგრამაც და სტუდენტებიც მეტ სარგებელს მიიღებენ პროგრამაში შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის კომპონენტის გაძლიერებით, რადგან თვითონ პროგრამის ხელმძღვანელსაც და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასაც აქვთ პოზიცია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართებით და პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით. სწორედ ამიტომ ჩათვალეს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის კუთხით იქნებოდა პროგრამის გაძლიერება კარგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ანა გვრიტიშვილმა მადლობა გადაუხადა, როგორც ცენტრის თანამშრომლებს ასევე ექსპერტებს თანამშრომლობითი დამოკიდებულებისთვის. რამდენიმე რეკომენდაცია რაც არის დაფიქსირებული აღნიშნა, რომ შინაარსობრივ მხარეს ეხება და სიტყვა თამარ კეკენაძეს გადასცა.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა, როგორც ცენტრის თანამშრომლებს ასევე ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. თქვა, რომ რეკომენდაციებზე პასუხი წინასწარ წერილობით დააფიქსირეს. ისაუბრა სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერების ნაწილზე თქვა, რომ ამ საკითხზე საუბარი ჰქონდათ ექსპერტთა ვიზიტის დროს, მათთვის გასაგებია ექსპერტთა მოსაზრება რომ უნდა გაძლიერდეს ამ კუთხით სწავლება თუმცა ეს პროგრამა არის ინტერდისციპლინური ხასიათის და საერთაშორისო გამოცდილება, რაც არსებობს, მათ შორის საქართველოში, ამ ტიპის პროგრამები ისწავლება საკმაოდ ძლიერი სამართლებრივი კომპონენტით. თუმცა, ასევე არსებობს სხვა ტიპის მიდგომები, რომელიც მათ აირჩიეს, მათ შორის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რაც ძირითადად მოიცავს იმ დოზით ჩართულობას სამართლებრივი ასპექტების, რაც დემოკრატიული მართველობის მოწყობის საკითხები იყოს გააზრებული სრულად სტუდენტების მიერ. აქედან გამომდინარე, თვლიან, რომ იმ დოზით, რაც უკვე უდევთ პროგრამაში ახდენენ სწავლის შედეგებზე გასვლას. დამატებითი კონცენტრაცია შესაძლოა დამატებით ტვირთად დააწვეთ სტუდენტებს, რადგანაც საკმაოდ დატვირთული სილაბუსები და პროგრამაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში 3.2 სტაანდარტში წერია სამაგისტო სადოქტორო ხელმძღვანელების რაოდენობა 13, ასევე იგივე საკითხთან მიმართებით 4.1 სტანდარტში წერია 22 , დაწესებულება იღებს 25 სტუდენტს, როგორც დასკვნაშია მოცემული. ითხოვა ამ ციფრების დაზუსტება და სამაგისტრო სტუდენტებისთვის ხელმძღვანელობის მსურველთა რაოდენობიდან რამდენს აქვს დოქტორის ხარისხი.

ექსპერტმა გიორგი ფარეშიშვილმა თქვა, რომ თვითშეფასების ნაწილიდან და ვიზიტის დროსაც იგივე ინფორმაცია მიიღეს. ეს ცვლილება რით იყო გამოწვეული არ იცის.

ექსპერტმა ნინო დოლიძემ თქვა, რომ პერსონალის საერთო რიცხვი არის 22, მათ შორის, არის 7 აკადემიური და 15 მოწვეული პერსონალი 25 სტუდენტზე. აქედან 2 პროფესორი არის აფილირებული, 3 ასოცირებული და 2 ასისტენტ-პროფესორი.

გოდერძი ბუჩაშვილმა თქვა, რომ 3.2 კომპონენტში მოცემულია ცხრილი, სადაც სამაგისრო სადოქტორო ხელმძღვანელების რაოდენობაში წერია 13.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანა გვრიტიშვილმა თქვა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, რომლის თანახმადაც გაწერილია კრიტერიუმები, არის ჩანაწერი რომ ერთ ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად სამი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, CV- ის მიხედვით გაიარეს რომელი აკმაყოფილებდა შიდა რეგულაციას ეს რიცხვი აღმოჩნდა 13, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის ხელძღვანელობა შეუძლია 13 ადამიანს. რაც შეეხება კითხვას, რომ იღებენ 25 სტუდენტს იქიდან გამომდინარე, რომ ერთ ადამიანს მაქსიმუმ სამი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია, ამ ეტაპზე რა რაოდენობაზეც არის გამოცხადებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა სრულად აკმაყოფილებს რაოდენობას.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა თუ 13-დან რამდენს აქვს დოქტორის ხარისხი.
ანა გვირიტშვილმა უპასუხა, რომ იმ შიდა მოთხოვნებს, რაც გაწერილი აქვთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის 13-ივე აკმაყოფილებს. პერსონალი ბევრად მეტია, მაგრამ ამ მოთხოვნებს სრულად ეს 13 აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრი ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა კითხვა პროგრამის კვალიფიკაციასა და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. ძირითადი სასწავლო კურსებიდან, რაც მართვასთან არის დაკავშირებული არის 5 სასწავლო კურსი, ჯამში 25 კრედიტი, მართალია პროგრამაში არჩევითი კურსებიც არის, რომელიც შერეულია სადაც წარმოდგენილია, როგორც მართვის ასევე სხვა სასწავლო კურსები. ალბათობა, რომ 15 კრედიტი მართვის თემატიკიდან იქნება არჩეული ალბათ შეუძლებელია. კითხვა მდგომარეობს შემდეგში, როგორ ფიქრობენ, ეს სასწავლო კურსები, რომლებიც არის სულ 5 პლიუს კიდევ ერთი ან ორი, რამდენად არის საკმარისი და მისაღები კვალიფიკაციისთვის. კვალიფიკაცია არის საჯარო მმართველობის მაგისტრი.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ პროგრამა ნამდვილად მოიცავს, როგორც მმართველობით კომპონენტებს ასევე საჯარო მმართველობის პოლიტიკის კომპონენტებს. პროგრამის შემუშავებისას შემმუშავებელ გუნდთან ერთად დეტალურად გაიარეს იმ კურსების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფდა დასმული საკითხს. შესაბამისად 2/3- ზე მეტი ნამდვილად არის მმართველობითი კომპონენტის შემცველი. არც ექსპერტების მხრიდან ყოფილა ამ კუთხით შენიშვნა. მათი გადმოსახედიდან სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ამ მიმართულებით თვლიან, რომ სრულად არის შესაბამისი.
ერმილე მესხიამ დააზუსტა და თქვა რომ 5 სასწავლო კურსი პლიუს ერთი დამატებითი თვლიან, რომ საკმარისია კვალიფიკაციისათვის. ხაზი გაუსვა და თქვა რომ აქ საუბარია საჯარო მმართველობის მაგისტრზე, არ საუბრობს პოლიტიკაზე და პროგრამის დასახელებაზე საუბრობს კვალიფიკაციაზე. მოლოდინი ჰქონდა, რომ მეტი სასწავლო კურსი იქნებოდა.

მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას პირველი კითხვა ეხება შრომის ბაზრის ამსახველ დოკუმენტს, სადაც დასკვნაში აცხადებენ, რომ გაიზრდება მოთხოვნა ამ პროგრამის სპეციალობის კურსდამთავრებულებზე და ამ დოკუმენტში აქვთ ამერიკული ორგანიზაცია კვლევის შედეგები, რომ 2030 წლისათვის მოთხოვნის გაზრდა ნავარაუდებია 9%-ით, საქართველოში მოთხოვნის პროგნოზი რომ მოთხოვნა გაიზრდება რის საფუძველზე დაადგინეს. ვერ დაინახა ვერც ემპირიული კვლევის შედეგები და ვერც რაოდენობრივი. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თქვა რომ პროგრამა საკამოდ ძვირადღირებულია წლიური გადასახადი 8 000 ლარია. შედიან კონკურენტულ გარემოში 13 უმაღლეს სასწავლებელში მსგავსი სასწავლო პროგრამა. რა კონკურენტული უპირატესობები გამოარჩევთ არსებულ ბაზარზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ გამომდინარე იქიდან რომ ეს არის ინგლისურენოვანი პროგრამა და ორიენტირი სამიზნე ჯგუფი არის, როგორც ქართველი ასევე საერთაშორისო სტუდენტები, ბაზრის კვლევა მოიცავდა, როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი ბაზრის შესწავლას. ადგილობრივ ბაზართან დაკავშირებით რამდენიმე დოკუმენტიდან არის კვლევები წარმოდგენილი, რომელიც ანახებს დინამიკას ზოგადად მმართველობითი მენეჯერული რგოლების მიმართულებით რა ტიპის მოთხოვნა არსებობს ბაზარზე დამატებით ამას საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული კვლევების და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზეც იგივე დასკვნის გაკეთება შეიძლება. საქართვლოში ახლაც მიმდინარეობს საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც დამატებით მოთხოვს არსებული საჯარო მოხელეებისთვის დამატებითი კვალიფიკაციის და პროფესიული მომზადება-გადამზადების საჭიროების აუცილებლობას. ამ ყველაფრის ერთობლიობამ მისაცა საშუალება ემსჯელათ რომ იქნება მოთხოვნა ამ ტიპის პროგრამაზე. რაც შეეხება საფასო კატეგორიას იგი არის 4 000 ლარი, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით ეს საფასო კატეგორია არ არის ყველაზე მაღალი. განსხვავება არის ის, რომ ექნებათ ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული. ამავდროულად აქვთ საკმაოდ მნიშვნელოვანი კავშირები და მემორანდუმები პრაქტიკის განმახორცილებელ ორგანიზაციებთან, რომლებიც პროგრამის ამ ნაწილს ძალიან მომხიბვლელს ხდის. მას ასევე აღნიშნა, რომ აპირებენ აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს სამთავრებო სტრუქტურებთან რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობის პრობლემას არ ქმნის.
ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში წერია ორი წლის საფასური 8 000 ლარი. ერთი წლის საფასური კი 4 000 ლარი არის. დაამატა რომ შემუშავების დროს გაანალიზდა სხვა საფასურები და ბაზარზე ბევრად განსხვავებული საფასურები არ არის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:36 სთ
დასრულების დრო: 16:06 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით, აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში " საერთაშორისო სამართლის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები.
4.2. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს მმართველობითი მიმართულების სასწავლო კურსებით.
4.3 რეკომენდებულია, კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია.
4.4რეკომენდებულია, კურსებისთვის „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.
4.5 რეკომენდებულია, დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ, არსებობდეს ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი), რათა ნებისმიერმა სტუდენტმა და/ან პროფესორმა მოახერხოს მოცემული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია.
4.6 რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.

რჩევები:
5.1 საგნებში საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება; რეფორმები და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; განათლების პოლიტიკა და მართვა (არჩევითი) სასურველია, ერთ ლექციაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება ან ლექციისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა.
5.2 სასურველია, ლიტერატურის შესყიდვის (ან ნებისმიერი სხვა შესყიდვისას) პროცესში მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ინტერესთა კონფლიქტის გარემოება, რაც საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მთლიანად პროცესისთვის.
5.3 სასურველია, სასწავლო კურსში „რეფორმები და ეკონომიკური განვითარება“ შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.

მე-6 საკითხი. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 17 დეკემბერი №1384508
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0414 - მარკეტინგი და რეკლამა

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, პ. სააკაძის ქ. 1.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხდა ლაშა ჩხარტიშვილმა და მარინა მაისურაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნატალია თვალჭრელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. თქვა რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრი იყო ასევე მაშინ, როდესაც ეს პროგრამა იღებდა აკრედიტაციას. გასცეს 6 რეკომენდაცია და 12 რჩევა. წარმოდგენილ ანგარიშში ინფორმაცია აქვთ ამ 6 რეკომენდაციის შესრულების შესახებ, თუმცა უნივერსიტეტს რჩევების შესახებ არ წარმოუდგენია არანაირი ინფორმაცია. ზოგიერთი რჩევა ნამდვილად წაადგებოდა პროგრამის განვითარებას. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ექვსივე მათგანი შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის. აღნიშნა, რომ რჩევების გათვალისწინების ვალდებულება არ არის, მაგრამ მათი პოზიცია ყოველთვის გადახედონ და ეტაპობრივად მოახდინონ მათი გათვალისწინება, რადგანაც დათქმულ ერთ წლიან ვადაში მისი განხორციელების აუცილებლობა არ იყო, შესაბამისად, არ წარმოადგინეს ეს ინფორმაცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რჩევების გათვალისწინებას არ ფიქრობენ და არ აპირებენ.
დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჟიჟილაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრობლობისთვის, თქვა რომ მოცემული რეკომენდაციები მათ პროგრამას წაადგა ბევრი მიმართულებით, როგორც ლიტერატურის გამრავალფეროვნებით, ასევე საფეხურების შესაბამისად კიდევ უფრო მეტად განვითარებით და

რაც მთავარია სამაგისტრო ნაშრომების დახვეწით, რაც შეეტყო კიდეც სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხს. აქვე აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნაა ამ პროგრამაზე. პროგრამას უკვე ჰყავს თანახელმძღვანელი, რომელიც უკვე არის კონცენტრირებული ამ პროგრამის ახალი თაობის ცოდნით განვითარებაზე. შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი და მათი ამოცანა არის ეს პროგრამა გახადონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო:16:13 სთ
დასრულების დრო: 16:30სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -12
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი